

572  
1954/4



# ღელა

მთელი, ბრუნა დაბნე,  
დაბნე, აუბნე მთელი,  
და პირე ქაჩაველი, აუბნე,  
საბნედა კახაველი



## ოკი უკვდავი სახელი

დიდება! — ქვეყნად გრიანებს  
მილიონების ძახილი.  
არასდროს დაგვავიწყდება  
ორი დიადი სახელი.

არასდროს დაგვავიწყდება,  
მარადეამს გვემასსოვრება  
ორი დიადი სახელი,  
ორი ნათელი ცხოვრება,

ნახატი გ. შოთხიშვილისა

ლენინი — მასწავლებელი,  
ბრძენი მამა და მშობელი;  
სტალინი — ლენინისაგან  
მარადეამს განუყოფელი.

წინ გაგვიძღვება, ინათებს  
ორი მზე, ორი ჯაგარი.  
გზა მათგან გაგვიშუქდება  
კომუნიზმისკენ სავალი.

მუჰამად ლუბინიძე



0299

# ს ტ ა ლ ი ნ ი

არ მოგვკდება მისი ხმა,  
მისი გულთბილი აღერსი  
კვლავ ცოცხლობს ხაღხის გულებში  
სტალინი უსაყვარლესი.  
არა ბელადის სიკვდილი  
ჩვენს გულს არ დაუღგენია;  
მავზოდუმში ისვენებს  
მისი უკვდავი გენია.

ისვენებს, — ვინაც ქვეყანას  
ბედნიერება აღირსა;  
იქ წუანან ის და ლენინი  
დამსხნეღნი მშრომელ ხაღხისა.  
ჩვენ მათ ედიღებთ მარადჟამს,  
გულს ჟიანდახად გავუღლით;  
ჩვენ მათს მოძღვრებას მიეყვებით  
დიდ, მზიურ დღესასწაულში.

ირაკლი აბაშიძე





ქ. გომიანიძე

ნახატები ბ. არინიძისა

# გორში

გაზაფხულის სურნელება დგას ჰაერში. მატარებლის თანჯარიდან თავი გამოუყვითა თენიას და იურის და ათასფერი ყვავილებით აპრელებულ მიდამოს თვალს ვერ აშორებენ.

მატარებელი მიქრის საქართველოს მიწა-წყალზე. თვალს იტაცებს ყაყაჩოები. მოუხაროდათ უკრაინელ მეგობრებს

სტუმრად ქართველ კოლმეურნეებთან. რა სიხარული განიცადეს ბავშვებმა საქართველოში ჩასვლისას, როგორ გულთბილად შეეგებნენ მათ ქართველი მასპინძლები. რა კმაყოფილი იყვნენ იური და ენია, რა არ ნახეს, ვინ არ გაიცნეს კოლმეურნეობაში, ქართული ჩონგურებიც მიიღეს საჩუქრად.



მაგრამ ყველაზე მეტად გახარებულნი ახლა არიან. ისინი თვალმოციხარნი სხედან ვაგონში და მოუთმენლად ელიან გორში ჩასვლას. გვერდით უზით კოლმეურნეობის თავმჯდომარის შვილი ზურიკო და უკრაინელ მეგობრებს აცნობს არემარეს. აქ არიან უფროსებიც, ისინი თავისთვის საუბრობენ.

— ესეც გორი! წამოიძახა ზურიკომ, როდესაც ციხის ნანგრევები გამოჩნდა.

— გორი! — უნებურად გაიმეორა იურომატ.

პატარებელი დადგა თუ არა, სტუმრებმა ქალაქისაკენ საჩქაროდ გასწიეს.

ყვავილობდა ატამი და ვაშლი. ალუჩისა და ტყემლის ყვავილებით ღამაზად გადაპენტილიყო არემარე, ჩამოსულებმა გრძელი ხიდი გადაიარეს მდინარე ღიახეზე და ძველთაძველი ციხის მიმართულებით წავიდნენ.

ბაღეშში და ეზოებში ისმოდა ფრინველთა ქიქქი, რომელთა ხმა სტუმრებს ბელადის სახლისაკენ მიაცილებდა.

მუზეუმის ეზოში შესვლის წინ ბოგდანმა ტანსაცმელი გაიწმინდა, ულუაშზე ხელი გადაისუვა და ბავშვები წინ გაიძლოლა.

გულმოდგინედ ათვალიერებდნენ იური და ზურაბი იმ პატარა სახლს, სადაც 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა დიდი სტალინი; ოთახში იდგა სკივრი, ხის ფართო საწოლი, სამოვარი, ღამპა, ტაბურეტები.

ყველაფერს გაფაციცებით ათვალიერებდა ეენიაც.

— რა პატარა ოთახია! — თქვა გოგონამ და დიხანს უცქერდა შოწყობილობას.

ბავშვები ბელადის სახლიდან გამოვიდნენ და მუზეუმის კარი ფრთხილად შეაღეს. ისინი ერთ ფოტოსურათთან შედგნენ:

„ი. ბ. სტალინი გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა შორის.“ — ამოკითხა ზურიკომ.

შემდეგ ზურიკო ბელადის ყრობის დროინდელ ლექსებს დააცქერდა, რომლებიც მინის ქვეშ იყო მოთავსებული: აგერ „დილა“, „მთვარეს“, „რ. ერისთავს“, ყველა გულმოდგინედ წაიკითხა ზურიკომ, ზოგიერთ მათგანს ქვეშ „სოსელია“ ეწერა.

ეენია კვლავ იდგა და ყურადღებით კითხულობდა წარწერას:

„მე-3 კლასში გადაყვანის ღირსად იქმნენ ცნობილი 1-ლი ხარისხით:

1) ჯულაშვილი იოსები“...

ქართველი და უკრაინელი კოლმეურნეები გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ბელადის მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს.

კარი გაიღო და მუზეუმში უცხო ხალხი შემოვიდა. ბავშვებს გაუკვირდათ იმათი ჩაცმულობა.

— ვინ არიან? — ჩასჩურჩულა ეენიამ მამას.

— ინდოელები. — ჩურჩულითვე მიუგო ბოგდანმა.

— და განა მარტო ინდოელები, აქ მოდიან ჩინეთიდან, კორეიდან, ავსტრალიიდან, იტალიიდან, ალჟირიდან, არგენტინიდან და ვინ იცის, კიდევ რამდენი ქვეყნიდან. — უთხრა ეენიას იქვე მდგომმა მუზეუმის თანამშრომელმა ქალმა.

მეორე დარბაზში იური, ეენია და ზურიკო გააოცა „ავლაბრის ფარული სტამბის“ მაცემთა და ფერადი ძაფებით ნაქსოვმა ბელადის პორტრეტებმა ჩინური წარწერებით.

ბოლოს ისინი ერთ პატარა ოთახში შევიდნენ. გადაათვალიერეს შთაბეჭდილების წიგნი. იქ მრავალგვარი ჩანაწერები იყო.

— ეს რა ენაზეა დაწერილი? — ჰკითხა ეენიამ მამას და ბავშვები უცხო წარწერის თარგმანს დააცქერდნენ:

„ჩვენმა მასწავლებელმა, ამხანაგმა სტალინმა გვაჩვენა გამარჯვების გზა და აღმოუჩინა უანგარო და გულწრფელი



დახმარება ჩინეთის რევოლუციას! იგი იქნება მარად ცოცხალი ჩინელი ხალხის გულში.

ჩინელ ქალთა დღეუგაცია“.

შორეული ამურის მხრიდან ჩამოსულ გოგონას ასე ჩაეწერა:

... მე დავბრუნდები ჩემს კომსო-  
მონსკში, ვუამბობ მეგობრებსა და ამ-  
ხანაგებს იმ უბრალო დარბიული სახლის  
შესახებ, რომელმაც ჩემში ასეთი წარუშ-  
ლელი შთაბეჭდილება დატოვა“.

ახლა ზურიკომ ამოიკითხა:

„მადლობა შენ, მშობლიურო გორო,  
სტალინის ტკბილო კერავ, აღმზრდელი  
სტალინისა... პირობას გაძღვეთ, მშობ-  
ლიურო კერავ, ვისწავლოთ ისე, რო-  
გორც სოსო ჯუღაშვილი სწავლობდა“.  
სწერდა მოსწავლე ლომიძე.

ის იყო, ბავშვები წიგნში თავიან-  
თი შთაბეჭდილების ჩაწერას აპირებდ-  
ნენ, რომ უეცრად დარბაზში შემოიჭრა  
მძლავრი სიმღერის ხმა.

— რა ამბავია? — იკითხა ბოგდანმა.

— ბათუმელი მუშები გვეწვივნენ,  
დიდი ბელადი ხომ იქ მუშათა წრებს

ხელმძღვანელობდა. — თქვა მუშეების  
ნამშრომელმა.

მუშები გატაცებით მღეროდნენ ეზო-  
ში და ეს სიმღერა ლალად ეფინებოდა  
აუკეთესულ გორს.

წასვლის დრო მოახლოვდა. სტუ-  
მრებმა გამოსვლისას შეათვალა იერს  
სტალინის ახალი, ლამაზი უკეთესობიანი  
მუშეუმის მშენებლობა.

უკრაინელი სტუმრები და მასპინძლე-  
ბი მატარებელში ჩასხდნენ. გულთბილად  
აცილებდნენ მათ ქართველი კოლმეურ-  
ნეები.

შებინდა.

მატარებელი დაიძრა. მეგობრები  
თვალმოუშორებლად გასცქეროდნენ გო-  
რის ციხეზე ანთებულ ხუთქიმიან ვარს-  
კლავს, რომელსაც ამშვენებდა ვეებერ-  
თელა ასოებით გაჩირაღდებული წარ-  
წერა:

„დი დება დიდ სტალინს“.

მიქროდა მატარებელი და მოძვე  
უკრაინელებს თან მიჰქონდათ პატარა  
სახლის დიდი სიყვარული.



ბრიგოლ ბარკინივილი

# გელუსკანას ყვავილი

ეს იყო დიდი სამამულო ომის დროს. უკრაინაში ფაშისტები თარეზობდნენ. მუხარბიანების რაზმის დავალება შევასრულე და უკრაინის ქალაქ კრივიოი როვიდან სოფელში ვბრუნდებოდი. გზაზე ერთ საფლავს მოვკარი თვალი. შეეჩერდი. ქვა არ ედო საფლავს, არც წარწერა ჩანდა. მასზე მხოლოდ მხესუმზირას დამქნარი ყვავილი ეგდო. ნეტავ ვინ დალო მხესუმზირას ყვავილი? — გავიფიქრე. ირგვლივ არც ერთი ხე, ახლოს არც ერთი სახლი. აბა, პასუს ვინ გამცემდა!

გზა გზავარძე. ფერდობიდან ბილიკით მდინარისაკენ დავეშვი. დაქანცული ვიყავი და წყლის პირას ტირიფის ქვეშ ჩამოვჯექი. ხელში ვიყავი დაქრილი, ხელი მტკიოდა, ვიჯექი და ვფიქრობდი.

— გამარჯობა, — მომესალმა ვიღაც.

— გაგიმარჯოს!

ჩემს გვერდით ზურგზე პატარა ტომარამოკიდებული თეთრწყვერა მოხუცი უკრაინელი ჩამოჯდა.

— მოეწიოთ, — მითხრა მან და როდესაც თუთუნი გაეაბოლეთ, შემდეგ შემიკითხა: — სადაური ხარ?

— საქართველოდან.

— მაშ, ქართველი ხარ? — მან ზურგიდან ტომარა მოიხსნა, გამიღიმა და თითქოს გამოსაცდელად, ქართულად მომესალმა:

— გამარჯობა, კაცო!

— გაგიმარჯოს! — ეუპასუხე.

მან კვლავ გამიღიმა, თავისი ტომარა გახსნა, პურის ნატები ამოიღო, შუაზე გაჰყო და ნახევარი ჩემს ცარიელ ჩანთაში ჩაღო.

— ჯერჯერობით შავი პური ექნა მითხრა მან, მხარზე ხელი იმედიანად დამკრა და ისე წავიდა, არც კი დამემშვიდობა. არ ვიცი, ვინ იყო ის მოხუცი! მივატრევი ტირიფი, და გზაზე რომ გავიდი, კვლავ ჩავუარე უცნობ საფლავს. იქვე რვა თუ ცხრა წლის ქერთაშინი გოგონა იდგა, საფლავზე მხესუმზირას ახალი ყვავილი იდო. გოგონას გამხდარ სახეზე მიში არ შემიმჩნევია, ლურჯი თვალები აღერსიანად უბრწყინავდა.

— გამარჯობა, ძია! — დამასწრო მან.



ტანსაცმელზემოგლეჯილი და ფეხში შველი უტყნო კაცის მხებედრა აქაურ ბავშვებს უკვე არ აშინებდა.

— გაიხარდე, პატარავ. ეგ ყვავილი აქ შენ დადე? — შევეკითხე.

— ჰო, ძია.

— ნაცნობი კაცია?

— ნაცნობია.

— რა გვარია, ან რა ჰქვია? ვინ არის?

— წითელღარმიელი. — მიპასუხა პატარა გოგომ. ჩანთიდან მოხუცი მგზავრის ნაჩუქარი პური ამოვიღე, — იმ წუთს მასზე ძვირფასი არაფერი გამაჩნდა, — და გოგონას გაუწურე.

— გმადლობთ, ძია! — მითხრა ბავშვმა და ჩამომართვა.

განა მას უფრო მეტი ჯილდო არ ეკუთვნოდა?



გორის მხარე

ნახატები რ. შაშირიძისა

## ცისანას მოგზაურობა

საწიფლის ქედი ზამთრობით დაფარულია თოვლით, მისი ში კი ამოიქარგება წითელი, ყვითელი, თეთრი, ლურჯი, სოსანი და ალისფერი სურნელოვანი ყვავილებით; ასე მორთულ მინდვრებზე სძოვენ ბალახს პაპა გიორგის ცხვრის ფარები.

გიორგის კობტა ჩოხა-ახალუხი აცვია და ზედ ნაბადი აქვს მოგდებული. გრძელბეწვიანი ქუდი ახურავს, ილიაშია კაუკიანი კომბალი უჭირავს. ქამარში ხანჯლის ტარის მახლობლად გარკობილი აქვს სალამური; საწიფლის საძოვრებზე ხშირად გაიგონებთ ტკბილ ხმას, — როცა ფარა ისვენებს, პაპა გიორგი სალამურს უკრავს; მწვანე მდელოზე წვანან ცხვრები.

უნდა ნახოთ, როგორი გულისყურით უსმენენ პატრონს ქედილები, დედა ცხვრები, ბატკნები, ვაცები. იქვე წევს სიცხით ენაგამოგდებული ნაგაზი ვეფხვია. მას ჩანგლებიანი საყელური აქვს შემბული, რომ მგელი ყელში არა სწვდეს და არ დაახრჩოს, ვეფხვია ხომ ცხვრის ფარის ერთგული მცველია.

— ცხვარი, შვილო, — ეტყვის ხოლმე გიორგი თავის შვილიშვილს ცისანას, — ძვირფასი ცხოველია. ის აძლევს ადამიანს მატყლს, ხორცს, ცხიმს, ყველს. ტყავს. რქა რომ რქა არის, ისეც კი გამოხადეგია, მისგან ფოლაქებს და წებოს აკეთებენ.

გიორგის სიცოცხლეს ურჩევნია თა-



ვისი შვილიშვილი ცისანა. გოგონა მესამე კლასში გადავიდა. მკაფიოდ კითხულობდა და წერს ქართულად, რუსულად. ანგარიშიც ჩინებულად ეხერხება.

ცისანამ ერთხელ სასაფხულო არადღეგებზე შორს იმოგზაურა. ეს ამბავი ასე მოხდა:

პაპა გიორგი კოლმეურნეობის ცხვრის ფარებს გამოსახამთრებლად ყოველთვის აზერბაიჯანში, მულანის ველზე მიერეკება. როცა საწიფლის ხეებში, ქედებზე და მინდორებზე ღრმა თოვლი ძვეს, ცივი ქარი ქრის და ყინავს, მაშინ მულანის ველზე ზაფხულივით თბილა და ბალახიც ბევრია. იქამდე ფარების მირეკვას მეცხვარეები მთელ თვეს უნდებოან. მულანში აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. ისინი ძმურად ხედებოან ხოლმე ქართველ მეცხვარეებს.

ერთხელ, გაზაფხულის დამლევს, მულანიდან სოფელში ცნობა მოვიდა, — პაპა გიორგი ავად გახდა, საავადმყოფოში დააწინესო. მოხუცს შემოეთვალა: ძალიან კულად ვარ, ჩემი ცისანა მაჩვენეთ და მოვრჩებო. ცისანას მამა მაშინვე გაემგზავრა მულანში, შვილიც თან წაიყვანა.

თბილისიდან მატარებლით ერთი დამის მგზავრობის შემდეგ მულანის ველის პატარა სადგურზე ჩამოხტნენ. ირგვლივ დაცემული ველი იყო, მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეს გაწოლილიყო იისფერ ბურუსში გახვეული გრძელი მთაგრეხილი კავკასიონის ქედისა. მამა და შვილი მანქანით გაემგზავრნენ აზერბაიჯანულ სოფელში. გზაზე ქართველ კოლმეურნეთა ცხვრის ფარები მოედინებოდა საქართველოსაკენ. მთელი გზა შეკრული იყო, მანქანას ხშირად უხდებოდა შეჩერება, რომ მდინარესაკით მოხლდავებულ ფარაში გზა გაეკვლია. ისმოდა ცხვრების ბღავილი და მწყემსების შეძახილი. მალე გამოჩნდა თეთრად შეღვსილი ორსართულიანი საავადმყოფოს შენობა. იქ მკურნალობდა პაპა გიორგი.

როცა ცისანა პაპასთან შევიდა, მო-

ხუცი ლოგინზე იწვა. მის მახლობლად სკამებზე ისხდნენ პაპას მეგობარი მწყემსი ისმაილი და მისი მეუღლე. მათ შუაში ჰყავდათ ცისანას ტოლი შვილიშვილი, შავთვალწარბა, გრძელნაწნავებიანი გოგონა — სურაია. როგორ გაეხარდა ცისანას დანახვა პაპა გიორგის! მკერდზე მიიკრა, მერე მახლობლად სკამზე დაისვა

— ეს ჩემი შვილიშვილი ცისანა არის! — ამაყად უთხრა მეგობარს გიორგიმ.

ისმაილს გაელიმა. ყალიონი გადადო, ცისანა სურაიას გვერდით მოუსვა და თქვა:

— ორივე ჩინებული გოგონაა!

— პაპა, რა მოგივიდა? ავად რადა ხარ? — შეეკითხა ცისანა.

— მგლებს გამოვედევნეთ, შვილო, სამსკიბილებიც ჩავაყრევინეთ.

— მე კი გავატყავე, მათი ქურქები გასახმობად გავკიდე! — დაუმატა ისმაილმა.

— ჩვენს ფარას მგლის ხროვა დაესხა თავს, — განაგრძო გიორგიმ, — მარჯვედ დაეუხვლით მე და ისმაილი, ციკნის კულიც კი არ გავატანეთ მხეცებს. ცხენებით და ძაღლებით გამოვუღდექით, სულ კუდილით ქვა ვასროლინეთ იმ გაუმამძღრებს. ჩვენმა ვეფხვიამაც ძალიან იმარჯვა. დევნაში ცხენი წამექცა, ფეხი ვიღრძე და ბექები დამეფეცა.

რა კი საშიში არა იყო რა, ცისანას მამამ სახლში დაბრუნება დააჩქარა. იმ დღესვე შეუდგა ცხვრის ფარის საწიფლის სამოვრებისაკენ გამოჩვევის იმ გაუმამძღრებს. შვილის წაყვანაც დააპირა, მაგრამ ისმაილმა და მისმა მეუღლემ არ დაანებეს.

— ფიქრი არა გქონდეს, — სთხოვა ისმაილმა ცისანას მამას, — გოგონა ჩემს სურაიასთან დარჩება, ითამაშონ ერთად, თვალის ჩინიეთ მოვუვლით, პაპასაც ყოველდღე ინახულებს. როცა ავადმყოფი წამოღდება, მაშინ ორივეს ერთად გამოვიტყურობთ სახლში.



მამამ ისმაილს მადლობა გადაუხადა. სურათს პაპას კრამიტით დახურული, გამოუწვავი აგურის გრძელი სახლი ედგა. სახლის ეზო-დერეფანი პირდაპირ მუღანის ველში გადაიოდა. იქ თავისუფლად თამაშობდნენ სოფლის ბავშვები.

ისინი სიხარულით შეეგებნენ პატარა სტუმარს.

— რა გქვია? — ეკითხებოდნენ რუსულად ცისანას.

ცისანაც გაბედულად პასუხობდა. მალე ისიც ჩაირიეს თამაშში.

სურათი ერთი წუთით არ სცილდებოდა ცისანას. ხელიხელჩაკიდებულები დადიოდნენ, ერთად საუბრობდნენ. ღამით დიდუღასთან მახლობლად ეძინათ ხალიჩა-ფარდაგებით მოგებულ სუფთა ტახტზე. შუადღისას საავადმყოფოში მიდიოდნენ. იქ, ეზოში, ბავშვები პაპა გიორგის ხან ყვარჯენს მიაწოდებდნენ, ხან თუთუნის ქისას და ყალიონს მიუბრუნებდნენ.

მალე მამამ მულანიდან ცხვარი საწიფლეში გარეკა. ფარები გიორგის თვალის

გასახარად საავადმყოფოს მიხედვით გაატარა.

ცისანას მოეწონა აზერბაიჯანი და ისმაილის ოჯახი. ცოტაოდენი აზერბაიჯანული სიტყვაც ისწავლა. ახლა ის პაპა გიორგის საავადმყოფოდან გამოსვლას მოელოდა, რომ შინ დაბრუნებულ იყვნენ. ეს დღეც დადგა. ერთ დღით, როცა ცისანა რუსში პირს იბანდა, ისმაილმა კოლმეურნეობიდან სამი შეკახებული აქლემი მოიყვანა; ცისანას ძალიან მოეწონა ეს ცხოველები, რომლებიც მანამდე მხოლოდ სურათებზე ენახა. აქლემები ეზოში შემოსვლისთანავე დაწვენენ. გოგონები მათ პირში რბილ თევას აწვდიდნენ.

პაპა გიორგიც მოვიდა. ისმაილმა ცისანა და სურათი ერთად შესვა აქლემზე, მეორე გიორგის შესთავაზა, მესამეზე კი თვითონ შეგდა. აქლემები ნელ-ნელა წამოდგნენ. ბავშვებმა მხიარული სიმღერა შემოსახეს და ქარავანი დაიძრა რკინიგზის სადგურისაკენ, იქიდან კი პაპამ და შვილიშვილმა ჩქარი მატარებლით შინისაკენ გაქროლეს.



# ორი კარის საშუბარი

ჩემს შეზობლად მყოფმა კარმა  
ასე უთხრა ქვემო კარებს:  
— შეჯავრება, როცა მდგმური  
მომღვება და მაჯანჯლარებს.  
ამას წინათ ორიანი  
მოდიოდა ჩვენი მიწა,  
ფეხი მკრა და გაჯავრებით  
კედელს მაგრად მიმათხლიოწა.  
აუქრიალდი, მოვიღრიცე,  
თითქოს გულში დამკრეს დანა,  
ის რომ კარვად არა სწავლობს,  
დამწაშავე მე ვარ განა?  
— სანუგეშოს ვერას ვეტყვი,  
მეც შენსავით ვიღრინები,  
მეცემიან, გამაღებენ,  
არ მკეტავენ, ვიყინები.  
მარინეც კი გუშინ დილით  
მომეპარა ჩუმაღ, ნელა,  
ზედ შემღვა და მაქანავა  
როგორც კარგი საქანელა.  
მოდი, ასე გადავწყვიტოთ,—  
ეუბნება ძეგობარი,—  
ვიღრე ჭკუას ისწავლიან,  
არ გაეულოთ ცელქებს კარი!

გადმოაქართულა მ. ბრიგაველიძე



# მორცხვი გოგონა

ილია სიხარულიძე

დღეს ნანულის ესტუმრა  
მზევინარი პატარა,  
მასპინძელმა ჯერ სტუმარს  
ეზო შემოატარა.  
შემდეგ უთხრა ლექსები.  
არ დააკლო ზღაპარი,  
თოჯინებიც უჩვენა  
კობტა, სხვადასხვაგვარი.  
— შენც ხომ იცი ლექსები,  
ან და ზღაპრის მოყოლა? —  
შეეკითხა მზევინარს  
მასპინძელი გოგონა.  
მზევინარს კი ენაზე  
კბილი დაუბჯენია;

მეგობარს რომ ხმა გასცეს,  
ვერ ახერხებს, რცხენია.  
სახლში ენაქიკვიკა  
გარეთ, სხვებთან მუნჯია;  
ეგრე მორცხვი ნუ ხარო,  
განა ცოტამ ურჩია?  
მაგრამ რა ქნას გოგონამ,—  
სითამამე აკლია,  
მეტისმეტე მორცხვობა  
მზევინარის ნაკლია.  
მზევინარი ნაკლს დასძლევს,  
ნაკლი ვის არ ჰქონია!  
მორცხვი, გაუბედავი  
ჩვენ სხვაც გაგვიგონია!



დროე პლაჟორია

ნახატები ზ. ლეჟავასი

## დედის სიხარული

დედს თამრიკომ ორიანი მიიღო, დედა უსაყვედურებს, თამრიკო კი ცალი თვალით საფერადებელ წიგნს გაჰყურებს, თუმცა გულს მაინც სტკენს დედის საყვედურები:

— შრომას სწავლის პირველივე წლებში თუ არ შეეჩვიე, ჩემო გოგონა, მერე უფრო გაგიჭირდება. ხატვაც კარგია, მაგრამ გაუნათლებელი მხატვარი, აბა, ვის რად უნდა. თუ წარმატებით არ ისწავლი, შენს ნახატებს გამოფენაზეც არ გაიტანენ.

კარგზე ფოსტალიონმა დააკაუნა და მოსკოვიდან მამის გამოგზავნილი წერილი გადასცა თამრიკოს. თამრიკომ კონკრეტი დედას მიუბრუნინა.

წერილში მამა იწერებოდა, რომ ახა-

ლი საცხოვრებელი სახლის მისი პროექტი დაუმტკიცეს და დააჯილდოვეს, რომ თამრიკოს საჩუქრები უყიდა: წიგნები, სახატავი რეველები და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამ! ბოლოს დედას სწერდა, რომ რვა მარტს უსათუოდ მანდ ვიქნები და შენი დღესასწაულისათვის საჩუქარს ჩამოგიტანო.

თამრიკომ შენიშნა, რომ წერილს დედა დიდი სიხარულით კითხულობდა. დრო და დრო ჩაფიქრდებოდა, და მის მუხლებზე მიყრდნობილ გოგონას გულში მაგრად იკრავდა.

„შენი დღესასწაულისათვის...— ამ სიტყვებმა ჩააფიქრა გოგონა, მერე დედას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— გიხარია, დედიკო, მამა რომ შენი  
დღესასწაულისათვის ჩამოვა?

— რასაკვირველია! — გაეღიმა დე-  
დას. — მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი სი-  
ხარული ის იქნება, შენ რომ ორიანები  
არ მიიღო.

ჩაფიქრებული გოგონა ნელი ნაბი-  
ჯით მიუახლოვდა თავის პატარა მაგი-  
დას. დედას ზედ ახალი რვეულები დაე-  
ლაგებინა, სულ ახალი, კრიალა ფანქრე-  
ბი ლამაზ ქილაში ჩაეწყო.

„რა კარგია დედა“. — გაიფიქრა თამ-  
რიკომ და ჩანთა ლურსმნიდან ჩამოხსნა.  
დღიური ამოიღო, ცხრილი წაიკითხა და  
შეცადინებობას გულმოდგინედ შეუდგა.  
ასე შეცადინებობდა თამრიკო ერთი  
კვირის განმავლობაში. სახატავიც კი  
აღარ აგონდებოდა, უქმად დროს არ კარ-  
გავდა. როგორი სიხარული ტრიალებდა  
გოგონას გულში, როგორ მოელოდა რვა  
მარტის მოსვლას.

ნეტავი რა საჩუქარი დაუმზადა დედას  
თამრიკომ?

რვა მარტივ გათენდა.

გაზაფხულის პირველი დღეები დაეტ-  
ყო ქალაქს. მზეს ძალა მოემატა, ჩიტები  
ქვილ-ხვილით დაფრინავდნენ გაფოთ-  
ლილ ხეებზე.

თამრიკო ჩანთით ხელში სკოლისაკენ  
მიიბიჯებდა. თან ლექსს იმეორებდა. —

„სულ არ შეშლება“. — გაიფიქრა გოგო-  
ნამ და ასკინკლით წავიდა, მაგრამ მოა-  
გონდა, რომ ქუჩაშია, გარშემო მიიხედ-  
მოიხედა და დინჯად განავრძო ვხა.

ის დღე სკოლაში მხიარულად ჩატარ-  
და. კლასის ხელმძღვანელისათვის გო-  
გონებს თაიგულები დაემზადებინათ. რო-  
გორც კი პატარებმა მასწავლებელი დი-  
ნახეს, საყვარელ აღმზრდელს ვარს შე-  
მოგებვივნენ და თაიგულებით აუცეს ხე-  
ლები.

გაკვეთილები დამთავრდა. თამრიკომ  
დღიური გულმოდგინედ შეინახა ჩანთაში  
და შინისაკენ გასწია.

კიბეები მარად აღბრინა თამრიკომ,  
მაგრამ კარები გაუბედავად შეაღო. დე-  
და და მამა მოციხარი სახეებით ფერად  
ქალაქში შეხვეულ საჩუქრებს თამრი-  
კოს მაგიდაზე ალაგებდნენ.

თამრიკო ფრთხილად შევიდა ოთახ-  
ში, მამამ თამრიკო გულში ჩაიკრა, მერე  
საჩუქრები გადმოუღავა; რა არ იყო იქ!  
წარმოიდგინეთ, რომ მამამ ზეთის საღე-  
ბეები და თავქოჩორა ფუნჯებიც ჩამოუ-  
ტანა, რომლებზეც თამრიკო დიდი ხანია  
ოცნებობს, მაგრამ დედამ არ უყიდა, —  
ჯერ პატარა ხარო.

თამრიკომ თითის წვერებზე წამოიწია  
და მისკენ დახრილ მამას აკოცა, მერე  
ნელი ნაბიჯით დედასთან მივიდა, ჩანთა  
გახსნა, ფრთხილად ამოიღო დღიური და  
დედას მიაწოდა.

დედამ მოუთმენლად გადაფურცლა  
დღიური, შიგ ერთი კვირის განმავლო-  
ბაში მიღებული, ლამაზი ხელით ჩაწე-  
რილი კარგი ნიშნები ამოიკითხა!







ბიძარი მამაკარავილი

რაც მოგივა, დავითო...

დათო გვიან წამოღდა ლოგინიდან. კვირა დილა იყო, შემოდგომის სუსხიანი დილა.

ოჯახში პირველად ყოველთვის პაპა დავითი იღვიძებდა, თავისი პატარა სეხინას საწოლისაკენ ღიმილით გაიხედავდა და გადასძახებდა:

— ადექი, გათენდა, დავითო... ადექი, სკოლაში არ დაგაგვიანდეს!

დათო არც ისე პატარა იყო, მეორე კლასში დადიოდა. არც ისე ზარმაცი იყო, რომ ადგომა დაზარებოდა; პაპას ძახილზე თვალს მოიფშენებდა, მერე წამოხტებოდა და ჩაქმას დაიწყებდა.

ამ დილით კი არავენ დახმანებია, არც პაპა, არც დედა. ორივე ქარხლის ამოსადგებად წასულა მინდორში; აი, დედას საუზმეც დაუტოვებია მაგიდაზე. არამ სკოლნოდათ, ამ დილით დათო სხვა ბავშვებთან ერთად ასკილის საკრეფად უნდა წასულიყო, მაშინ დროზე გააღვიძებდნენ. ბავშვები მასწავლებელს უნდა წაეყვანა ქალებში, სადაც ბევრი ასკილი იცის.

წესელ დათოს დაავიწყდა, დედა არ გაუფრთხილებია, რომ ადრე გაეღვი-

ძებინა... არა, კი არ დაავიწყდა, არ იყოს, ეზარებოდა და განგებ დაივიწყა. წინა კვირასაც ხელები დაიკაწრა ასკილის ბუნჩებში ქრომით და მაშინ გაიფიქრა, მომავალ კვირას აღარ წავალო. ახლა მისი ამხანაგები ალბათ გახურებული კრეფაში არიან, მღერიან, იცინიან, ხუმრობენ. დათო კი... მაგრამ ვანა დათოს კი არ შეუძლია ახლავე წავიდეს და მათ შეუერთდეს? მასწავლებელი ძალიან არ დატუქსავს, ესეც ხომ გაკვეთილზე დაგვიანება არ არის!

დათომ ისაუბრა, კარი გააღო და გარეთ გაიხედა. ბავშვები ქალებს შესვოდნენ, მათი ხმაური სოფლამდე აღწევდა.

„წავალ“, — გაიფიქრა დათომ და კალათს წამოავლო ხელი.

ეზოში რომ გავიდა, გზაზე მიმავალი შოთა დანიხა. მასაც მოზრდილი კალათა გადაეკიდა მხარზე.

— შოთა, მოიცა, ასკილზე მეც მოვდივარ! — გასძახა დათომ.

— მე იქ არ მივდივარ. — უხალისოდ უპასუხა შოთამ და ნაბიჯს უმატა. დათო სირბილით დაეწია.

— მაშ, სად მიხვალ ამ დილაადრიან კალათით?

— შინდის საკრეფად, ტყეში. თუ გინდა, შენც წამოდი!

ტყეში!.. რა კარგია ახლა ტყე. შემოდგომის ათასგვარი ხილია ტყეში: პანტა, ზღმარტლი, წიფელი, შინდი. დედას შინდს ჩამოუტახს და გაახარებს. ზამთრისათვის კერკს გაახშობენ, მურაბას მოხარშავენ. — გაიფიქრა დათომ და დაწაყვეტილ თქვა:

— წამოვალ!..

— მერე ხილზე გასვლისა არ გეშინია? ჩახრიალა მოდიდებულია, ვერ გაეტრაპავთ! — შეეკითხა შოთა.

დათო შეეკუჟანდა. ჩახრიალას ხიდი გაახსენდა. ხიდი კი არა, ერთი წვრილი ლატანია გადებული, ჩაზნექილი და გლიპული.

შოთამ ამხანაგს ყოყმანი შეატყო და ჩაიციან.

— აკი ვთქვი...

— არა, არ მეშინია, იმ დღესაც ხომ გავვდი!

— კარგი, წამოდი, მაგრამ ჩემი ბრალი არ იყოს, თუ...

ყოყმანის დრო აღარ იყო შოთა უკვე ხევისავენ მიიბიჯებდა. დათოც ჩქარი ნაბიჯით აედევნა.

ხილზე ფრთხილად გავიწინენ და მალე შინდიან ფერდობს მიაღწიეს. დათო მარად კრეფდა მწიფე შინდს, მაგრამ მალე იგრძნო, რომ მთელი ტანი დასუსხული ჰქონდა. შეწუხდა. კუნძზე ჩამოჯდა, ცდილობდა ცხვირსახოკით მოეშორებინა შინდის უხილავე ბუსუსებში. მაგრამ კისერს რაც უფრო მეტად იფხანდა, მით უფრო აწუხებდა. მაჯახეც ლუღლუღობი დააყარა.

— რაო, შეგაწუხა? — შეეკითხა შოთა, ფრთხილად უნდა გეკრიფა, აი, მე ლუღლუღობი არ დამაყარა!

ბილიკზე უცნობი კაცი გამოჩნდა, ბავშვებს მიესალმა და იქვე, დიდ ქვაზე ჩამოჯდა. ბავშვები გაკვირვებით შესცქეროდნენ ხანშიშესულ უცნობს.

— რატომ თქვენც ასკილის საკრეფად არ წასულხართ, თქვენც ხომ მოსწავლეები ხართ? — წარბშეკვრით ჰკითხა უცნობმა.

ბიკებს ენა ჩაუყარდათ. აქამდის თამამი შოთა ისე იუფრებოდა ტუისავენ, თითქოს გაქცევას აპირებდნო.

— თქვენი ამხანაგები ასკილის კრეფენ, კარგ საქმეს აკეთებენ, ასკილი სამკურნალო მცენარეა, თქვენ კი აქ შინდის ბუჩქებში დაძვრებით... რად გაუბრძნობთ საერთო საქმეს? ალბათ ის ორი ბიჭი თქვენა ხართ, რომლებმაც თავი აარიდეს ასკილის კრეფას!

ბიკები თავჩალუნულები იდგნენ.

უცნობმა კაცმა სახეაწითლებულ დათოს გახედა, მის დალუღლუღებულ მაჯებს დააკვირდა და დაცინვით უთხრა:



— კარგად დასუსხულხარ... ისე არ მოგივიდეს, რომ პაპამ გითხრას. რაც მოგივა, დავითაო, — ეძვლა შენი თავითაო!

ესა თქვა უცნობმა და ისევ გზას გაუღდა.

დათომ ეს ანდაზა პირველად გაიგონა, გაუკვირდა. რა იცის, რომ დავითი მქვია, ან ის საიდან იცის, რომ პაპა მყავს? ნეტავ, ვინ იყო ვინმე მეზობელი, თუ ახალი მასწავლებელი?

დიდხანს ფიქრობდა დათო და კალათი ისე აავსო, რომ არც შეუმჩნევია. შინ-

დის ბუსუსები ისევ აწუხებდა, მაგრამ იმ კაცის ნათქვამმა უფრო მეტად შეაწუხა და სინანული იგრძნო.

— ეჰ, — წამოიძახა დათომ ბოლოს, — რა მომივიდა, აბა, რა?.. შინდის ბუსუსით ვინ არ დასუსხულა!

ის იყო, კალათები მხარზე შეიდგეს, რომ წვიმა წამოვიდა. ბიჭები სოფლისაკენ წავიდნენ. დათო თავჩაქინდრული მიაბიჯებდა. მხარზე მძიმე კალათი ედგა, დასუსხული სხეული უთრთოდა, სახეში უსიამოვნოდ უშხაპუნებდა წვიმა.

ჩაბრიალას ხილს რომ მიუახლოვდნენ, ლატანზე პირველად შოთამ შედგა ფეხი ლატანი დასველებულიყო, მია ქვეშ ამღვრეული ჩაბრიალა მიქუბდა. დათოს თვალეები უჭრელდებოდა, მდინარეს თვალს არიდებდა.

უცებ შოთას ფეხი დაუსხლტა, შეტორტმანდა, შებრუნდა, კალათი ხელიდან გაუშვა და დათოს მოეჭიდა. დათოც

შებარბაცდა. დაჯახებას ვერ გაუძლო, ჩაუსტკდა და ლატანზე მხედარივით დაჯდა. მისი კალათიც ჩაბრიალას ტალღებში მიკურავდა.

ნაპირზე გამოსვლის შემდეგ დიდხანს უსიტყვოდ იდგნენ შერცხვენილი ბიჭები.

— ეს რა მოგვივიდა, ჰა?.. სწორედ ისე არ მოხდა, როგორც იმ კაცმა გვითხრა! — გაკვირვებით წამოიძახა შოთამ.

— მე მეგონა, მარტო ჩემზე ითქმობდა ის ანდაზა, — საცოდავი ღიმილით უპასუხა დათომ, — ნამდვილად კი შენზეც ყოფილა ნათქვამი!

— მარტო შენზე და ჩემზე კი არა, იმ კაცმა ყველა უკუღმართზე თქვა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო! — წამოიძახა შოთამ და ტალახში გასვრილი ხელი გაწითლებულ ცხვირზე ღიმილით მოსქიდა თავის ამაგაგებულ ამხანაგს.

ნახატები ბ. თომიზაძისა



# ძია პავლეს ნაშრომები



არდაღებებზე ლიანას ამხანაგები ესტუმრნენ. ლიანას დედამ პატარა სტუმრებს დიდრონი მსხლელებითა და ლოყაწითელი ვაშლებით სავეს კალათა მიართვა.

— აბა, ბავშვებო, მიირთვით ტუქში მოკრეფილი ხილი! — შესძახა ტოლებს ლიანამ.

— ეჭე, შენც კაი დროს გადაგიწყვეტია ჩვენი მოკრეფები! — უპასუხეს ლიანას ამხანაგებმა.

— არა, ბავშვებო, ლიანა მართალს ამბობს! — მიმართა მათ ლიანას დედამ, — აი, თვითონ ლიანა გაიმშობთ.

— მაშ, მომისმინეთ, თანაც ხილი მიირთვით! — დაიწყო ლიანამ: — მე და ჩემი ძმა რევაზი ზაფხულის არდაღებებზე სოფელ ბევრეთში ვიყავით; ერთ კვირა დღეს იქაურ ტოლებთან ერთად ტუქში წავედით.

ერთი პანტის ხის ქვეშ ვაკე ადგილი შევარჩიეთ; რევაზს თან ბურთი წამოვიღო და ბიჭებმა ფეხბურთის თამაში გაიჩაღეს.

რევაზი პანტის ხესთან „მეყარის“ მოვალეობას ასრულებდა, „მოწინააღმდეგეები“ ბურთს პირდაპირ კარებში ურტყამდნენ. რევაზი მალაღი ნახტომით შეეცადა ბურთის დაჭერას, მაგრამ ბურთი მალა წამოვიდა და პანტის ტოტები შეარხია. იქიდან რამდენიმე ევებურთელა მსხალი დაცა რევაზის ფეხებთან. მსხლეების დანახვაზე რევაზმა ბურთს თავი მიანება და გაკვირებულმა შეხედა პანტის ხეს; ჩვენც მივირბინეთ. ზედ თავზე გადმოშვებულყო ორი ლონიერი ტოტი უფრო დიდი ფოთლებით და დიდრონი ნაყოფებით, დანარჩენი ტოტები კი ჩვეულებრივი წვრილი პანტით იყო დახუნძილი.

— ეს ძია პავლეს ნაშენია! — გვითხრა ვახტანგმა და ხელი გაიშვირა მოშორებით მდგარ მატალოს ხისკენ. — აგერ, იქ კი, შეხედეთ, როგორი დიდი, ლოყაწითელი ვაშლები მწიფდება, გაგვიკარდათ? ჩვენს ტუქში ამისთანებს ბევრს გაჩვენებთ.

— აგერ, ძია პავლეს, ალბათ თავისი ნაშენების დასათვალიერებლად იყო ტუქში. — დაიმხეს ჩვენმა ამხანაგებმა.

ტუქის ბლიკზე ჩამოშვებული მოხუცი ჩვენს დანახვაზე ღიმილით გამოემართა პანტის ჩრდილისკენ.

მივესალმეთ.

ძია პავლემ ჩრდილში დააწყო თავისი ხელბარგი, იქვე კუნძზე ჩამოჯდა და შეგვათვალიერა.

— აი, ძია პავლე, ჩვენთან სტუმრად თბილისელი მოსწავლეები არიან. რევაზი და ლიანა გაკვირდნენ, რომ პანტის და მათალოს ხეებზე ასე დიდრონი ნაყოფი ასხია. გვიამბეთ თქვენი ნაშენების შესახებ. — სთხოვეს ჩვენმა მეგობრებმა.

— როცა ჩემს ეზოში პირველი ნაშენების დასარგავად ორმოების ამოღებას შევუდექი, — გვიამბო ძია პავლემ, — მეზობლები ეკვობდნენ: ამ შალაშითან სოფელში ხემ რომ გაიხაროს კიდეს, ნაყოფი არ მომწიფდებაო! ჩვენში ხომ ზაფხული გვიან იწყება და ზამთარი ადრე მოგვადგება ხოლმე.

მე მაინც დაერგე და საფულდავლოდ მოუვარე ხეხილს. — გვიამბობდა ძია პავლე, — ატამმა ნაყოფი მოისხა. შემდეგ კი ვაშლისა და მსხლის ნაყოფით გავუმსპინძლდი ჩემს მეზობლებს. კოლმეურნეობაშიც გავაშენეთ ხეხილის ბაღი და ახლა საუკეთესო მოსავალს იძლევა. მერე ჩვენი სოფლის ირგვლივ ტუქებში ხუთასამდე ვაშლი, მსხალი და ბალი დაეამყნე. ახლა ტუქში სამუშაოდ წასვლა სახალისოც არის, ვაზაფხულიდან შემოდგომამდე მწიფდება ნაშენი ხილი. აი, წელანაც შევარჩიე ოცობოდ ძირი ხე, რომ ახალ ნაშენებზე ვიმუშაო.

ამ ზამთრისათვის რევაზს და ლიანასაც გავუგზავნი თამ პანტის ნაყოფსაო.

ახლა კი თქვენც ოგემეთ ძია პავლეს ნაშენების ნაყოფი. — დაამთავრა ლიანამ მეგობრებთან საუბარი.



# ბავთი რა ნათი



საქართველოს  
განმანათლებლებს

ზარიშვილი ივალაძე

(ძველი თქმულება)

ნახატები ქ. მახარაძისა

ჯერ მზე არ ჩანს თვალბრიალა,  
ხევეს ბინდი ფარავს,—  
მამა-შვილი აღრიხანად  
დასდგომია შარას.

უცხად გზაზე მამა-შვილმა  
რკინას მოჰკრა თვალი,—  
მტვერში ეგდო მთვარესავით  
მორკალული ნალი.

მამამ უთხრა: „რომ აიღო  
არ მოგწყდება წელი“.  
ბიჭს აღება დაეზარა,  
ჯიბეში აქვს ხელი.



და უჩუმრად, განაბულმა  
მოარიდა თვალი.

შემობრუნდა მამა უმალ  
თვით აიღო ნალი...

მიდიან და არ ილევა, —  
გრძელი არის შარა.

ბიჭს მოშვიდა, ძნელი არის  
უქმელობა განა!

ავერ, გზისპირს ნაღბანდი,  
ქურას ასდის ალი.

მამას სხვა რა აბალია,  
გაუწოდა ნალი.

უხალთუნი\* მისცა მამას  
იმ მკვდელმა ნალში.

და გაუდგნენ ისევ შარას  
ორივენი მაშინ.

მიდის, მიდის მამა-შვილი,  
არ ილევა შარა.

აქეთ ტყვა გადაშლილი,  
იქით — მწვანე ქალა.

თვალი მოჰკრეს, ნიშანსვეტთან  
მგონი ხიდი არის.

შუადღეა, ალბათ მგზავრებს  
ძლიერ უნდათ წყალი.

ხიდის თავში ბავშვებია,  
კალათებში — ბალი,

ბიჭმა წითელ კუნწულოებს  
დააშტერა თვალი.

მამამ ხელით შვილის თვალწინ  
შემორკალა ნალი.

ხელმანდილი გადაშალა  
და იყიდა ბალი.

მიდის, მიდის მამა-შვილი,  
არ ილევა შარა.

აქეთ ტყვა გადაშლილი,  
იქით — მწვანე ქალა.

შია ყმაწვილს, ჯერ სად არის,  
გზა შორია კიდევ;

ნაბიჯი აქვს მამას ჭქარი,  
ბიჭი ძლივსლა მისდევს.

ფეხებს ითრევს, თანაც ნატრობს,  
რა იქნება ნეტავ,

დაუვარდეს თუნდაც მარტო  
ერთი ბალი კენტად!

\* უხალთუნი — ძველად ეწოდებოდა ფერცხლის  
ორშაურთანს



მამამ თითქოს არც კი იცის,  
რომ ბალი სურს ყმაწვილს.  
ძლივს იკავებს იგი სიცილს,  
შვილს ბაღს როდი აწვდის.  
ბავშვს კი თუმცა უნდა ბალი,  
თხოვნას ვედარ ბედავს.  
ეჰ, ის ნალი... ეჰ, ის ნალი  
მას აელო ნეტავ.  
და დაადგო მამამ ბალი,  
რა წითელი ბალი!  
უმალ დასწვდა ბიჭი მალვით,  
გახდა ქარზე მალი.  
და პირისკენ გააქანა  
ბალი ტკბილზე-ტკბილი.  
თუმცა რაა ერთი ბალი,  
ძლივსლა მოხვდა კბილი.  
მაგრამ წკაპ! და — კიდევ ბალი,  
სულ წითელი ბალი!  
მყისვე დასწვდა ბიჭი მალვით,  
სწრაფად, როგორც ქარი.  
და პირისკენ გააქანა  
ბალი ტკბილზე-ტკბილი.  
თუმცა რაა ორი ბალი,—  
ძლივსლა მოხვდა კბილი.  
მიდის მამა. თან ბაღს ავდებს  
ბიჭი იღებს ბაღსა.  
არა, იმას აწი ნალი  
არ დარჩება არსად.  
წკაპ—და... კიდევ ერთი ბალი,  
სულ წითელი ბალი  
ისევ დაწვდა ბიჭი მალვით,  
სწრაფად, როგორც ქარი.



მაგრამ წკაპ—და... კიდევ ბალი,  
რა წითელი ბალი!  
უმალ დასწვდა ბიჭი მალვით,  
გახდა ქარზე მალი.  
მამამ თეთრი ხელმანდილი  
გადაბურტყა უხმოდ,  
შეანელა ნაბიჯები  
და ბიჭუნას უხმო:  
— დახე, როგორ დაისაჯე,  
რად დატოვე ნალი!  
ასჯერ მინც დაიხარე,  
რომ ავდლო ბალი.  
მარტო ერთხელ დახრილიყავ.  
არ გერჩია განა?!  
სიხარმაყეს მოსდევს ხოლმე  
საქმე ამისთანა!



## ჩემი ბები

ნორა შამანაძე

საყვარელი ჩემი ბები  
მოხუცია ძლიერ,  
სადაც მიდის, სულ ხელში აქვს  
ყვარჯენი მძიმე.

იქნებ მნატე მოუტანოს,—  
მამას ვეხვეწები,  
თორემ მძიმე ყვარჯენით  
დამელდება ბები.

უღას შინაგრობა გეუთნის გრ. ჩარინაშვილს წგანი 2 მან.

რედაქტორი იოსებ წიწწავილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ე.პ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოჯაშვილი, მაკვალა შრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. შარგანი, ი. სიხარულაძე, ნ. უნაქოშვილი. შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

Л И А — еженедельный журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 8, Март 1964 г. Тбилиси, Ленинка 14.  
საბლტგამი. ლედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. მ სანო. ტელ. 8-37-38  
გამომც. შეჯ. № 44 სტამბის შეჯ. № 152/318 ტარაქი 15.000 ეკ 01930

5.15/24.

118/38

ГОСУДАРСТВ. В.КА

ГОСУДАРСТВ. В.КА

